ბრძანება:**ბ17. 01231932**

თარიღი:**12/07/2023**

განცხადების ნომერი: 0123177788-17
განცხადების თარიღი: 26/06/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.14.01.008.029
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ელიზბარ მინდელის ქუჩა, N 7ბ

განმცხადებელი-დამკვეთი :კახაბერ არაბიძე
პირადი ნომერი :18001001330
მისამართი :თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 78 სახლი 4 ბ. 2

ნომენკლატურა :სამართლებრივი საკითხები სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესის მიზნისთვის ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში /

მოთხოვნის შინაარსი
- მოთხოვნის ტექსტი :ობიექტის აზომვისას და ფართების დაანგარიშებისას გაიპარა ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. კერძოდ, +49.5 ნიშნულზე ჭერის სიმაღლე არასწორადაა მითითებული, ხოლო -6.00 ნიშნულზე არსებული ოფისის ფართი. წარმოგიდგენთ გასწორებულ გეგმებს და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებს და გთხოვთ შეიტანოთ ცვლილებები ადმინისტრაციულ აქტში. ახალი მაჩვენებლები : საერთო ფართი - 14745.73 საცხოვრებელი ფართობი - 8314.67 კვ.მ საზაფხულო ფართობი - 1768.26 კვ.მ საოფისე ფართობი - 1103.8 კვ.მ ავტოსადგომის ფართობი - 1009.25 კვ.მ კიბის უჯრედი და სადარბაზო - 2141.35 კვ.მ კომერციული - 408.4

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ელიზბარ მინდელის ქუჩა, N7ბ-ში (ს/კ N01.14.01.008.029) მდებარე სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული), საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 141^3 მუხლის შესაბამისად.

2023 წლის 26 ივნისს მუნიციპალურ ინსპექციას N0123177788-17 განცხადებით მომართა მოქ. კახაბერ არაბიძემ და მოითხოვა მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ექსპლუატაციაში მიღების წარმოების პროცესში არასწორად მოხდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დათვლა და წარმოდგენა, რის გამოც №ბ17. 01223542 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირა საერთო (ნაცვლად 14745.73 კვ.მ.-სა ბრძანებაში მითითებულია 14574.93 კვ.მ.), საოფისე (ნაცვლად 1103.8 კვ.მ.-სა ბრძანებაში მითითებულია 701.1 კვ.მ.), კიბის უჯრედისა და სადარბაზოს (ნაცვლად 2141.35 კვ.მ.-სა ბრძანებაში მითითებულია 2176.7 კვ.მ.) და ავტოსადგომების ფართი (ნაცვლად 1009.25 კვ.მ.-სა ბრძანებაში მითითებულია 1205.8 კვ.მ.); ასევე განმცხადებელი ითხოვს ბრძანებაზე თანდართული გეგმების ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით, რადგან გეგმებზე არასწორად იქნა დატანილი ფართების მაჩვენებლები.

მუნიციპალურმა ინსპექციამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, განიხილა განმცხადებლის მიერ 2023 წლის 26 ივნისს მუნიციპალურ ინსპექციაში N0123177788-17 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმები, შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და დაადგინა, რომ წინამდებარე დოკუმენტაციით ხდება გეგმების ნახაზებისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული

ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, მუნიციპალურმა ინსპექციამ მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) :1360.0
განაშენიანების ფართობი (კვ.მ) :1202.0
საერთო ფართობი (კვ.მ): 14745.73
საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ : 8314.67
საწაფხულო ფართობი (კვ.მ): 1768.26
საოფისე ფართობი (კვ.მ): 1103.8
კომერციული ფართობი (კვ.მ): 408.4
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 2141.3
ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 1009.25

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 ბრძანებაზე თანდართული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ,,ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში“ წარმოდგენილი გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
(მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი